

დანართის ძირითადი სტილისტიკური ფუნქციები და  
მართლწერასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი

ცნობილია, რომ ატრიბუტულ მსაზღვრელად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყოველგვარი სახელი, მათ შორის, არსებითი სახელიც. კერძოდ: ზომა-წონის სახელები (გოჯი, მტკაველი, გირვანქა, ლიტრა...); საწყისი (ჭიქა, ბოთლი, ხურჯინი, ტომარა, გიდელი, გოდორი...); პროფესიის აღმნიშვნელი სახელები (მუშა, მასწავლებელი, ექიმი...); წოდებათა და თანამდებობათა სახელები (გლეხი, აზნაური, თავადი, მარშალი, პროფესორი...); აგრეთვე, მიმართვის დროს სახმარებელი სიტყვები (ძია, დეიდა, ამხანაგი, ბატონი...)<sup>1</sup>.

მსაზღვრელ არსებით სახელებს დანართს (ზოგჯერ მიმატებასაც) უწოდებენ. ა. შანიძე დანართიან სახელებს ცალკე გამოყოფს და აღნიშნავს: დანართი არის „...არსებითი სახელი, რომელიც მეორე არსებითს საზღვრავს, ჩვეულებრივ საკუთარს. საკუთარი სახელი (საზღვრული) შეიძლება ერთი სიტყვა იყოს, ორი და მეტიც, მთელი წინადადებაც კი, თუ იგი სახელად არის გამოყენებული<sup>2</sup>. ეს საკუთარი სახელი შეიძლება აღნიშნავდეს ადამიანს, სოფელს, ქალაქს, მდინარეს, გაზეთს, ყურნალს, საზოგადოებას, გამომცემლობას, ხელობას, თანამდებობას, ტიტულს, ლიტერატურულ ნაწარმოებს (რომანს, მოთხრობას, პოემას, ლექსს, პიესას) და სხვ“<sup>3</sup>.

მხოლოდ საკუთარი არსებითი სახელის მსაზღვრელად არ განიხილავს დანართს ვ. თოფურია. იგი წერს: დანართს „...ისეთ განსაზღვრებას უწოდებენ, რომელიც არსებითი სახელის სახითაა წარმოდგენილი, არსებითი სახელი განსაზღვრავს არსებით სახელს...“ და შემდეგ: „გაირჩევა ორგვარი სახეობა ურთიერთობისა. ერთ შემთხვევაში არსებითი სახელი და მსაზღვრელი არსებითი სახელი (დანართი) ისეთსავე დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, როგორშიც ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრული,

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 81—82.

<sup>2</sup> ხაზგასმა ჩვენია. ნ. ც.

<sup>3</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

და ცალ-ცალკე არიან წარმოდგენილი: ფოლადი ადამიანი, რკინა კაცი, მასწავლებელი დავითი, ექიმი გომართელი, გენერალი ვედვენიშვილი, ქალაქი ქუთაისი და სხვ. მეორე შემთხვევაშიც ისევ მსაზღვრელ-საზღვრული გვაქვს, მაგრამ ორივე ერთად, ერთ სიტყვადაა გააზრებული, გაკომპოზიტებულია. ამის ნიმუშებია ვირთხა, ძელქვა, ვაშლატამი, სირაქლემა, მუხანავსი და მისთ<sup>4</sup>. სპეციალურად მსჯელობს ავტორი შერწყმულ დანართებზე, როგორცაა: „მუზეუმ-ნაკრძალი, წევრ-კორესპონდენტი, პოეტ-აკადემიკოსი, აკადემიკოს-მდივანი, სახლ-მუზეუმი, ტელეფონ-ავტომატი და სხვ“<sup>4</sup>.

მამასადამე, დანართი არსებითი სახელით გამოხატული განსაზღვრებაა (ამასთან, არა მხოლოდ საკუთარი არსებითი სახელისა): იგი ძირითადად წინ უსწრებს საზღვრულს. შებრუნებული წყობის (საზღვრული + დანართი) ნიმუშებია: სახელ-გვარები (თუ გვარს მივიჩნევთ დანართად); მეფეთა სახელები: თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, ვახტანგ გორგასალი; ზედწოდებად ქცეული ხელობის აღმნიშვნელი სახელები: მოსე მწერალი, გოგია მეჩონგურე და მისთ<sup>5</sup>.

დანართისა და საზღვრულის ერთად ხმარების (ერთად ბრუნების) წესი დაზუსტებულია და დადგენილი, რამდენადაც დადგენილია, საერთოდ, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების წესები.

თუ დანართი მოსდევს საზღვრულს (ჩვეულებრივ, საკუთარ არსებით სახელს), იგი იბრუნვის, საზღვრული კი უცვლელი რჩება, განურჩევლად იმისა, თანხმოვანფუძიანი სახელია თუ ხმოვანფუძიანი (მაგალითად: დავით დროიძე, დავით დროიძემ, დავით დროიძეს... გლახა ჭრიაშვილი, გლახა ჭრიაშვილმა, გლახა ჭრიაშვილს... თამარ მეფე, თამარ მეფემ, თამარ მეფეს... და სხვ.)<sup>6</sup>.

თუ დანართი უსწრებს საზღვრულს და ბოლოხმოვნია, იგი უცვლელი რჩება ყველა ბრუნვაში (მაგალითად: რკინა კაცი, რკინა კაცმა, რკინა კაცს...); ბოლოთანხმოვნია კი იბრუნვის. ამასთან: ბრუნვის ნიშანმოკვეცილი სახეობა ძირითადია ნათესაობითსა და მოქმედებითში (აგრეთვე მიცემითსა და ვითარებითში). ე. ი. გვაქვს: პროფესორი მელიქიშვილი, პროფესორმა მელიქიშვილმა, პროფესორ მელიქიშვილს, პროფესორ მელიქიშვილის, პროფესორ მელიქიშვილით, პროფესორ მელიქიშვი-

<sup>4</sup> ვ. თ. ფ. რ. ი. ა., შერწყმული დანართის მართლწერა, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1970, გვ. 158—160.

<sup>5</sup> იხ. ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ე., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 88.

<sup>6</sup> იხ. ს. ჯ. ა. ნ. ი. ა., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, გვ. 131—132, ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ე., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 88.

ლად, პროფესორი მელიქიშვილი. ასევე იბრუნვის საზღვრულთან ერთად ამხანაგი, არტელი, გაზეთი, უურნალი და სხვ.<sup>7</sup>.

აღნიშნული დანართები (უფრო ზუსტად — მათთან დაკავშირებული საზღვრულები) გარკვეულ შემთხვევებში განკერძოვდება წინადადების წევრებისაგან.

განკერძოებას ხელს უწყობს ძირითადად ორი პირობა:

1. თუ დანართი ბრუნვის სრულ დაბოლოებას იღებს (საზღვრულთან ერთად), როცა ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. მაგალითად:

...დაიწყო „ორმოცის“ წირვა და პანაშვიდი... ოჯახისთვის სიღარბისისა და სიღინჯის ელფერის მისაცემად მოწვეულმა კ ნ ე ი ნ ა მ თ ე ო ლ ი ნ ე მ (ნ. ლორთქ.).

დანართი (კნენია) ხმოვანფუძიანია და უბრუნველი უნდა დარჩენილიყო. მისი ბრუნება კი იწვევს საზღვრულის (თეოლინეს) განკერძოებას.

2. თუ ვრცელია დანართთან (ან მის საზღვრულთან) დაკავშირებულ სიტყვათა ჯგუფი. მაგალითად:

უკანასკნელ წლებში აშშ-ში, საფრანგეთსა და იტალიაში გავრცელებულია ფსევდორევოლუციური მოძრაობა ამერიკელი ანტიმარქსისტის, „მოწინავე ახალგაზრდობის“ ერთ-ერთი იდეოლოგის გ. მარკუზეს მეთაურობით... (სსკ. და ცხოვრ.).

დანართი ამ შემთხვევაშიც ბრუნვის ნიშნის სრულ დაბოლოებას იღებს და საზღვრული (გ. მარკუზე) განკერძოებულ დანართად იქცევა. შდრ. რომ ყოფილიყო... ანტიმარქსისტ გ. მარკუზეს მეთაურობით...

ორივე აღნიშნულ პირობას ემატება ინტონაცია (თეოლინე პირველ წინადადებაში და გ. მარკუზე მეორე წინადადებაში ინტონაციურად გამოიყოფიან წინადადების დანარჩენი წევრებისაგან)<sup>8</sup>. ამ დანართებზე ქვემოთ ცალკე გვექნება მსჯელობა. რა თქმა უნდა, ყველა განკერძოებული დანართი ამ გზით როდია მიღებული...

ჩვეულებრივ, როცა დანართზე მსჯელობენ სპეციალურ ლიტერატურაში, ფაქტიურად განკერძოებული დანართი აქვთ მხედველობაში. მიღებული დეფინიციაც დანართისა ასეთია: „განკერძოებული სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც დაკავშირებულია წინადადების წევრთან პაუზით ან კავშირით და შეთანხმებულია მასთან ბრ-ში. იგი სახელია, მოსდევს სახელითვე გადმოცემულ წინადადების წევრს და განსაზღვრავს

7 იხ. ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 134; ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 88—89; ლ. კვაჭავაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 175.

<sup>8</sup> ჩვენ სწორედ ინტონაციურად (და სინტაქსური როლის მიხედვით) განკერძოებულ დანართს ვგულისხმობთ პირველ რიგში და არა მხოლოდ პუნქტუაციურად გამოყოფილს.

მას...<sup>9</sup> აღნიშნავენ: „განკერძოებულ განსაზღვრებას უახლოვდება (ხაზ-გასმა ჩვენია. ნ. ც.) დანართი, რომელიც სახელით გამოხატული რომელიმე წევრის შემავსებელ ცნობას შეიცავს დაზუსტებისა თუ ახსნა-განმარტების სახით“<sup>10</sup>.

კი არ უახლოვდება დანართი განკერძოებულ განსაზღვრებას, არამედ მისი ერთი სახეა. გვაქვს **დანართი (მსაზღვრელი არსებითი სახელი)** და **განკერძოებული დანართი** (შდრ. რუს. Приложение და Обособленное приложение), ისევე როგორც: განსაზღვრება და განკერძოებული განსაზღვრება.

თუ მსაზღვრელ არსებით სახელებს (რომლებსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, დანართსაც უწოდებენ) განსაზღვრების სხვა სახეებთან მოვაქცევთ (ტერმინ **დანართის** დავივიწყებთ მითვის), მაშინ განკერძოებული დანართიც განკერძოებულ განსაზღვრებასთან უნდა გავაერთიანოთ და განვიხილოთ, როგორც მისი ერთი სახეობა. ვფიქრობთ, ეს მხოლოდ ტერმინის საკითხი არ არის, ამის გათვალისწინება აუცილებელი ჩანს დანართთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაჭრისას.

ამჟამად ჩვენ განკერძოებულ დანართთან დაკავშირებულ ზოგ საკითხს განვიხილავთ.

როგორც გარკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში<sup>11</sup>, დანართი (ე. ი. განკერძოებული დანართი) შეიძლება ახლდეს ნებისმიერი სახელით გამოხატულ ქვემდებარეს, დამატებას ან შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს. იგი შეიძლება იყოს უკავშირო და კავშირიანი. ასახსნელ წევრთან დანართის დასაკავშირებლად გამოყენებულია: მაიგივებელი კავშირები — **ანუ და ესე იგი**; მიმართებითი ზმნიზედა **როგორც და სიტყვები: სახელად, გვარად, მოდგმით, წარმოშობით, ჩამომავლობით, წოდებით, უმთავრესად, განსაკუთრებით, მაგალითად, სახელდობრ, ისიც და სხვ.**

ზოგადად განკერძოებული დანართის ფუნქციაა ამა თუ იმ წევრის ახსნა-დაზუსტება ან ამ წევრის სტილისტიკურ-ემოციური იერის გაძლიერება. ამიტომ რ. შამელაშვილი დანართს პირობითად ორ ჯგუფად ყოფს: 1. ამხსნელ-დამაზუსტებელ დანართებად და 2. ემოციურ-ექსპრესიულ<sup>12</sup>

<sup>9</sup> ქველ, III.

<sup>10</sup> ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 280

<sup>11</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი, VII—VIII კლ. სახელმძ., თბ., 1961, გვ. 68—70; რ. შამელაშვილი, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდია, თბ., 1958, გვ. 279—283; გ. შამელაშვილი, რ. გაბეჩაძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1974, გვ. 120—122; ნ. ბასილაია, პუნქტუაცია, თბ., 1973, გვ. 51—56.

მას...<sup>9</sup> აღნიშნავენ: „განკერძოებულ განსაზღვრებას უახლოვდება (ხაზ-გასმა ჩვენია. ნ. ც.) დანართი, რომელიც სახელით გამოხატული რომელიმე წევრის შემავსებელ ცნობას შეიცავს დაზუსტებისა თუ ახსნა-განმარტების სახით“<sup>10</sup>.

კი არ უახლოვდება დანართი განკერძოებულ განსაზღვრებას, არამედ მისი ერთი სახეა. გვაქვს **დანართი (მსაზღვრელი არსებითი სახელი)** და **განკერძოებული დანართი** (შდრ. რუს. Приложение და Обособленное приложение), ისევე როგორც: განსაზღვრება და განკერძოებული განსაზღვრება.

თუ მსაზღვრელ არსებით სახელებს (რომლებსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, დანართსაც უწოდებენ) განსაზღვრების სხვა სახეებთან მოვაქცევთ (ტერმინ **დანართის** დავივიწყებთ მითვის), მაშინ განკერძოებული დანართიც განკერძოებულ განსაზღვრებასთან უნდა გავაერთიანოთ და განვიხილოთ, როგორც მისი ერთი სახეობა. ვფიქრობთ, ეს მხოლოდ ტერმინის საკითხი არ არის, ამის გათვალისწინება აუცილებელი ჩანს დანართთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაჭრისას.

ამჟამად ჩვენ განკერძოებულ დანართთან დაკავშირებულ ზოგ საკითხს განვიხილავთ.

როგორც გარკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში<sup>11</sup>, დანართი (ე. ი. განკერძოებული დანართი) შეიძლება ახლდეს ნებისმიერი სახელით გამოხატულ ქვემდებარეს, დამატებას ან შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს. იგი შეიძლება იყოს უკავშირო და კავშირიანი. ასახსნელ წევრთან დანართის დასაკავშირებლად გამოყენებულია: მაიგივებელი კავშირები — **ანუ და ესე იგი**; მიმართებითი ზმნიზედა **როგორც და სიტყვები: სახელად, გვარად, მოდგმით, წარმოშობით, ჩამომავლობით, წოდებით, უმთავრესად, განსაკუთრებით, მაგალითად, სახელდობრ, ისიც და სხვ.**

ზოგადად განკერძოებული დანართის ფუნქციაა ამა თუ იმ წევრის ახსნა-დაზუსტება ან ამ წევრის სტილისტიკურ-ემოციური იერის გაძლიერება. ამიტომ რ. შამელაშვილი დანართს პირობითად ორ ჯგუფად ყოფს: 1. ამხსნელ-დამაზუსტებელ დანართებად და 2. ემოციურ-ექსპრესიულ<sup>12</sup>

<sup>9</sup> ქველ, III.

<sup>10</sup> ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 280

<sup>11</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი, VII—VIII კლ. სახელმძ., თბ., 1961, გვ. 68—70; რ. შამელაშვილი, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდია, თბ., 1958, გვ. 279—283; გ. შამელაშვილი, რ. გაბეჩაძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1974, გვ. 120—122; ნ. ბასილაია, პუნქტუაცია, თბ., 1973, გვ. 51—56.

დანართებდა. „ამ უკანასკნელი ჯგუფისთვის, — აღნიშნავს იგი, — შეიძლება გვეწოდებინა მეტაფორული დანართი“<sup>12</sup>.

გარკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში ამხსნელ-დამაზუსტებელი დანართის ძირითადი სტილისტიკური ნიუანსებიც.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ განკერძოებული დანართის შემდეგი სტილისტიკური ფუნქციები<sup>13</sup>:

1. დანართი აზუსტებს ქვემდებარეს ან დამატებას, როცა:

ა) დასაზუსტებელ-ასახსნელი წევრი ნაცვალსახელითაა გამოხატული:

მე მგონია თქვენ, ქართველები, ყველაზე უფრო არსებობის შენარჩუნებაზე ფიქრობდით, და ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია, თუ როგორ გადაიტანეთ ამდენი, მრავალგვარი უბედურება... (ნ. ლორთქ.).

ჩვენში ბევრსა სწავს, რომ, თუ ვინც პირველად ქალაქში ჩადის და კენჭსა არ ჩაყლაპავს, ქალაქი დასცდისო. მეც, ამის დამწერს, გადაწყდავს ერთ ღროს (ილია). ის კი, მისი სიზმრის გამირი, ზეთისხილის შტოს იტყალაშენებდა წვივზე და მედვას მხოლოდ მოქნეული ტოტის შხელი ესმოდა... (ო. ჭილ.).

ჩვენ — მსმენელები, მკითხველები, მაყურებლები დიდი ეგონისტები ვართ: ჩვენ ვგინდა, რომ ხელოვანი ცეცხლში იწოდეს... (გ. ქიქ.).

ჩვენ, ბებრებმა, რაღაც ეშვაკური მოვიფიქრეთ და ეს თუ უშველის წამხდარ საქმეს (გ. შატბ.).

ბ) წინადადების წევრი რიცხვითი სახელით არის გამოხატული:

სიზმარმა ფერი იცვალა; თეთრი, სპეტაკი სახლი გაქრა... ეხლა ორივე, დედა და შვილი, თავის ქონში, საყუთარი კერის პირას ისხდნენ (ვაჟა).

შანაჩიდან ორნი გადმოვიდნენ, შავკაბიანი ქალარა ქალი და ტაქსის შოფერი (ო. ჭილ.).

...მათვან ორი — ბაჩანა და თედო — შემდეგ აგრეთვე ცნობილი მწერლები გახდნენ... (გ. ქიქ.).

ნათესავების ერთმა ნაწილმა, აღმოსავლურმა შტომ, წინადადება შემოიტანა, ცხვარი დაველათო, მეორემ — დასავლურმა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — რას ჰქვია, ცხვარი დაველათო (ა. ხულაყ.).

გ) აღნიშნული ფუნქციით დანართი შეიძლება ახლდეს ჩვენებითი ნაცვალსახელის როლში გამოსულ ზედსართავებს, როგორიცაა: უკანასკნელი, შემდეგი და სხვ. მაგალითად:

გამოუცდელი ავტორის ნაწარმოებში ეს უკანასკნელი, გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები, წარმოდგენილი არიან უბრალო სქემებად... (რ. ჯაფ.).

2. დანართი (მიმოვლი სიტყვებითურთ) ახსიათებს პირის ნაცვალსახელით გამოხატულ წევრს:

<sup>12</sup> რ. შამელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

<sup>13</sup> მეტწილ შემთხვევებში ეს არის დადასტურება სპეციალურ ლიტერატურაში უკვე აღნიშნული ფუნქციებისა.

რა მექნა მე, უმწყო დედაკაცს, ვერც აღზევებულ მამასა და გაუმაძღარ შაზლებს გადაუღდექი... (რ. ჯაფ.).

...მონარქისტულმა გაზეთებმა ხშირად იციან ისეთი რამ, რაც ჩვენ, ცოდვილებმა, არ ვიცით, და რასაც სასამართლო და უნდარმერია ვერ ჩაჰკიდებს ხელს... (ნ. ლორთქ.).

ასეთი დანართები შეიძლება როგორც კავშირითაც შეუერთდნენ საზღვრულს. მაგალითად:

მე იმედი მაქვს, რომ თქვენ, როგორც განათლებულის ქვეყნიდამ მოსკული კაცო, მეც მითავაზებთ ჩაისა (ილია).

...თავის განსაკუთრებულსა და უმაღლეს დანიშნულებას სიტყვა აღწევს მაშინ, როდესაც იგი, როგორც სიტყვა, მეორე სიტყვას დაუპირისპირდება. (მ. გოგობ.).

ასეთია მისი, როგორც ქორეოგრაფის, შემოქმედებითი კონცეფცია... (სკომ.).

საინტერესოა დანართის ფუნქციები არსებითი სახელით გამოხატული წევრებთან.

1. ქვემდებარე საკუთარი არსებითი სახელითაა გამოხატული და დანართი (საზოგადო არსებითი სახელით გამოხატული) მას აზუსტებს:

ა) ხაზს უსვამს მის წარმომავლობას, ნათესაურ თუ სხვაგვარ დამოკიდებულებას მკითხველისათვის უკვე ნაცნობ პირთან:

კოტიკო, ძია ლადოს გერი, ასოთამწყობად მუშაობდა რომელიღაც სტამბაში (ა. სულაქ.).

თამარ დედოფალმა, მეფე ალექსანდრეს თანამედევნადრემ და ლევან აბაშიძის ასულმა, ჩინებულად უწყობდა, რომ თვითმპყრობელ მეფეს არ მართებდა მოძალადე ქვეშევრდომის წინაშე ქედის მოდრეკა... (რ. ჯაფ.).

ის ალაღე კი, ამირანისა და ელიზბარის პაპის ძმა, ერთი იმთავანი ყოფილა, რომელთა გარეგნობის გამოც უნდა დარქმეოდათ დევიშვილებს დევიშვილები (რ. ინან.).

...მი სახლში ცხორობდნენ დათა და გოგია, ჩემი უფროსი მეგობრები (რ. ინან.).

ბ) დანართი აღნიშნავს საზღვრული წევრის სოციალურ წარმომავლობას, გვარიშვილობას ან ხელობა-საქმიანობას:

თავად გქლამეს, დიად პატროსანის გვარის და კაიოჯახის შვილს, ერთი მზეთუნახავი ქალი უზის გასათხოვარი (ილია).

უწინ გვიკვირდა, ანგელოზი და ღმერთი დაფრინავსო... ახლა კი, ვინცა ნემეცია თუ ფრანცუზი, ეიყვანს შენს დათა კობაშვილს, პატროსან აზნაუშვილს, და ატრიალებს, ქორი რო წიწილას ეიყვანს ისე, პაერში... (ნ. ლორთქ.).

შაბათ საღამოს ესტუმრათ თვედორე, განთქმული მონადირე (ვაჟა).

ძია გრიგოლს — ძველ დაბადს, სკამი ქუჩაში გამოეტანა, თავისი დარაბის წინ იჯდა და ქარვის კრილოსანს მარცვლავდა ა. სულაქ.).

მხსაკო ჯალიაშვილი, მეძროხეობის ფერმის გამგე, ყოველ წელიწადს საადრეო კიტრს თესავდა ხოლმე (რ. ინან.).

შეზობელ ოთახში მარი ცხოვრობდა, იქაური საავადმყოფოს ექთანი (თ. კილ.).

საკუთარი არსებითი სახელით გამოხატულ წევრს ამხსნელ-დამაზუსტებლად შეიძლება ორი დანართი ახლდეს: შეიძლება ორივე აღნიშნავდეს საზღვრულის წარმომავლობა-საქმიანობას. მაგალითად:

გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ რუსთაველი, XII საუკუნის ქრისტიანული სახელმწიფოს კაცო, ისიც უსათუოდ წარჩინებული გვარიშვილი, მღერის უკვდავ საგალობელს და ქრისტიანულ ღმერთს არც ერთხელ არ უგალობს (მ. გოგიბ.).

ან ერთ-ერთი დანართი აღნიშნავს საზღვრულის გარეგნულ ნიშან-თვისებას. მაგალითად:

მკვდელი წარმატებამ გაათამაბა, ახლა ბოჩიას დადგა თვალი აკვნის ოსტატს, ყველაზე ძონძროსა კაცს, არა მარტო ამ სარდაფში, არამედ მთელს ქალაქში (ო. კილ.).

გ) დანართი ხაზს უსვამს ასახსნელი წევრის ბუნებას, დამახასიათებელ თვისებას:

ბბუა ლევანი, ან გარიშხიანი და წინდახედული კაცი, ამოდენა ხარჯს... ტყუილ-უბრალოდ არ გასწევდა (რ. ჯაფ.).

ინალიპას, ცნობილი ვაჟკაცისა და გვარიშვილის დამარცხება უკანასკნელი ხარი და ნიშანი გამოდგა (ნ. ლორთქ.).

ასეთ შემთხვევებში დანართი ასახსნელ სიტყვას ჩვენებითი ნაცვალ-სახელით უკავშირდება ხშირად (ამასთან, აქეთა ორიენტაციისა):

...იქვე ვგდო რუსული სხვილი ტილოს თოფრაკი და ერთი მოზრდილი კომბალი — ეგ ერთგული და უმუხხანათო თანამგზავრი ყოველის უბედური-სა (ილია).

ჯიმშერი, ეს მთასავით კაცი, ლექსებს წერდა. ლექსების პაწაწინა კრებულები გამოსცა (ა. ხულაყ.).

...სიტყვათა გარკვეული კომბინირება წარმოშობს ენაშვობას — პოეზიის ამ უცოლობელ თანმხლებს (მ. გოგიბ.).

2. იგივე ფუნქციები აქვს საზოგადო არსებითი სახელით გამოხატულ დანართს, როცა საზოგადო არსებითი სახელითვე გადმოცემულ საზღვრულს ახლავს:

აღნიშნავს საზღვრული წევრის სოციალურ წარმომავლობას, ვინაობას, წოდებას, ხელობა-საქმიანობას ან მუდმივ დამახასიათებელ ნიშან-თვისებას:

...უთუოდ ვყოფილვარ რამე, რომ თვით არწივი, მეფე ფრინველთა, მკადრულობს და ჩემ ტოტებზე ისვენებსო (ვაჟა).

...მის მაგიერ მიწერილი მღვდელი იყო თურმე იქ, ახლანდელი ჩვენი მღვდლის ბაბუა, და მას უბრძანა მეფემ: — „შედი და შენ სწირეო (ნ. ლორთქ.).



მარტოხელა ბერიაკია — ძველი მემანქანე (ა. სულაყ.).

კატა, საყვარელი მეგობარი ობლისა, ტოტსა სცემდა ობოლს და უაღრესებდა (ვაჟა).

შშრომლებს — ქვეყნის ბატონ-პატრონებს — არ შეუძლიათ თავის რიგებში მოითმინონ ისინი, ვინც ამახინჯებს საბჭოთა მოქალაქის ამაყ სახელს („სკ. და ცხოვრ.“).

ამავე ფუნქციით შეიძლება რამდენიმე დანართი ახლდეს საზღვრულს (ან ერთგვაროვანი დანართები გვექნება, ან დანართის დანართები). მაგალითად:

პროკლე არწმუნებდა თავის ეპოქას, რომ ღმერთი, — მიზანთ მიზანი ყოველივე არსებობისა და მიზნები საკუთარი თავისა და ყოველივე დანარჩენისა, — არც სიტყვით გამოითქმება, არც გონებით გამოითვლება (მ. გოგობ.).

ნიკო ნიკოლაძე დიდად მნიშვნელოვანი და კოლორიტული ფიგურაა სამოციანი წლების მოღვაწეთა შორის. ესაა სრულიად ახალი ტიპის ინტელიგენტი, გამდიდრებული გლეხის შვილი, ევროპული დემოკრატიული აზროვნების ერთ-ერთი პირველი მედროშე საქართველოში (გ. ქიქ.).

შეიძლება საზღვრული წევრი ხელობის თუ ვინაობის ამსახველი საზოგადო არსებითი სახელით იყოს ვადმოცემული და ახლდეს დანართი, რომელიც ამ ვინაობას უფრო აკონკრეტებს. მაგალითად:

...თითქმის ყოველთვის კიბეზე კლასის დამრიგებელს ხედებოდა, ქართულის მასწავლებელს (თ. ჭილ.).

ის მეფე იყო, უსამართლოდ დაკარგული ტახტის სამართლიანი მემკვიდრე, და ახლა მეორე მეფესთან შემწეობის სათხოვნელად მოსულიყო (თ. ჭილ.).

3. დანართი ისეთი საზოგადო არსებითი სახელითაა ვადმოცემული, რომელიც საზღვრულის აღმნიშვნელი საზოგადო სახელისავე ერთგვარ სინონიმს წარმოადგენს, მსგავსი, ზოგჯერ იდენტური მნიშვნელობის მატარებელია. ასეთი დანართი საზღვრულს შეიძლება მაიგივებელი კავშირებითაც უკავშირდებოდეს. რა ფუნქცია აქვს ამ შემთხვევაში დანართს? ზოგ შემთხვევაში იგი თითქოს უკეთ გამოხატავს სათქმელს, ზოგ შემთხვევაში კი მსაზღვრელად უცხო წარმომავლობის სიტყვაა და დანართი მის ახსნა-განმარტებას წარმოადგენს. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ამ ფუნქციის დანართები მეცნიერულსა და პუბლიცისტურ ნაწერებში. მათ ზოგჯერ ფრჩხილებითაც გამოყოფენ:

... ეს მხოლოდ მათი სივარტე ბუნებები იყო, სამოსახლოები (ვ. ჭილ.).

...სამოლოდ ამირანი წინ აღუდგება უზენაესი ძალის — თვითონ ღმერთის უსამართლობას და ძალმომრეობას (ვ. ჭილ.).

რა არის ის მაღალი სიბრძნე, რომელიც ბრძენის პირმა (სიტყვამ) უნდა აუწყოს ქვეყანას? (მ. გოგობ.).

ენის აღწერის (აღწერითი გრამატიკის) თანდაყოლილი ნაკლი იმთავითვე თანმიმდევრობის უქონლობაში გამოიხატებოდა (იკვ, XVI).

„გატყდა“ და „გაკეთდა“ აბსოლუტური (ერთპირიანი) ფორმებია და აშკარად უქუთუნელია (ა. შანიძე).

4. წინადადების მთავარი წევრი ზოგადი ცნების გამომხატველი ან კრებითი არსებითი სახელითაა გადმოცემული და დანართი წარმოადგენს მის დაკონკრეტებას (დანართში ხდება ჩამოთვლა მთავარი წევრით ნაგულისხმები საგნებისა თუ მოვლენებისა). მაგალითად:

ტიქნიურ სასწავლებელში მიღებული მოსწავლეთა კონტინგენტი (17—18 წლის ვაზუკები) ყოველმხრივ მზად არის ურთიერთობა დაამყაროს საბაზო საწარმოს კოლექტივთან („ს. და ცხოვრ.“).

საბჭოთა სპორტსმენთა ჯგუფი — აკრობატები, სპორტული და მხატვრული ტანმოვარჯიშეები — საჩვენებელი გამოსვლების გასამართავად პორტუგალიაში გაემგზავრა („თბილ.“).

რიცხვის გარდა, რომელიც ზმნას საერთო აქვს სახელთან, ჩამოთვლილი კატეგორიები, როგორც უღლებისა (პირი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამიმდევრობა), ისე წარმოქმნისა (გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, მცევა და კონტაქტი) — ყველა დამახასიათებელი ნიშანია ზმნისა (ა. შანიძე).

განმმართველი სიტყვები შეიძლება ახლდეს ყველა წევრს — მთავარსაც (ქვემდებარეს, შემასმენელს...) და მეორეხარისხოვანსაც (უბრალო დამატებას, განსაზღვრებას, გარემოებას) (ლ. კვაჭ.).

ზემოთ განხილულ ყველა შემთხვევაში (ე. ი. როცა საზოგადო არსებითი სახელით გადმოცემული დანართი ახლავს ნაცვალსახელით, რიცხვითი სახელითა და არსებითი სახელით — საკუთარი თუ საზოგადო არსებითი სახელით — გადმოცემულ წევრებს) ნაკლებად ჩნდება სადავო საკითხები.

თუ ერთხელ კიდევ თვალს გადავავლებთ მოყვანილ მაგალითებს, უნდა დავასკვნათ:

1. ადგილი ამ დანართისა განსაზღვრულია: იგი უმეტესად მოსდევს საზღვრულს, ზოგჯერ კი გათიშულია მისგან. იშვიათად დანართი, ძირითადად როგორც კავშირიანი დანართი, შეიძლება უსწრებდეს საზღვრულს (უფრო პირის ნაცვლსახელით გამოხატულს). მაგალითად.

როგორც სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს, არა ერთხელ მიმიღია მონაწილეობა თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა სადიპლომო ნაშრომების განხილვაში („თბილ.“).

ამ წინადადებაში, ბუნებრივია, გამოტოვებულია საზღვრული წევრი — ქვემდებარე, რომელიც პირველი პირის ნაცვალსახელით უნდა ყოფილიყო გამოხატული...

(პირის ნაცვალსახელით გამოხატული) საზღვრულის წინ — წინადადების თავში — მდგომი განკერძოებული დანართი, განსაკუთრებით

კი უკავშირო დანართი, სხვა სტილისტიკური ფუნქციის მქონეა. კერძოდ, მას ვაერთიანებთ მიმღობით (ან ზედსართავი სახელით) გამოხატულ იმ განკერძოებულ განსაზღვრებებთან, რომლებიც აბსოლუტივის ფუნქციას ასრულებენ. ასეთად მიგვაჩნია სპეციალურ ლიტერატურაში საზღვრულის წინ მღვობი დანართის ნიშნუებად დასახელებული ასეთი მაგალითები:

პატარა ბავშვი, მე ვიჯექი ბუხართან სახლში (ნ. ნად.).

მეტად ღარიბი აზნაური, იგი სხვა ზოგიერთივით დადიოდა მაშვლად აქა-იქ... (დ. კლდ.)<sup>14</sup>.

...და ჭაბუკი თავმომწონე, მეც სიყვარულს გიგალობდი! (ა წერ.)<sup>15</sup>.

2. რამდენადაც დანართის ადგილი წინადადებაში განსაზღვრულია, დანართსა და ასახსნელ სიტყვას შორის ადგილის შეცვლა ფუნქციების შეცვლასაც იწვევს: დანართი ასახსნელ სიტყვად იქცევა და ასახსნელი სიტყვა დანართად<sup>16</sup>.

ავიღოთ ზემოთ უკვე განხილული მაგალითი:

კატა, საყვარელი მეგობარი ობლისა, ტოტსა სცემდა ობოლს და უაღერსებდა (ვაჟა).

შდრ.: საყვარელი მეგობარი ობლისა, კატა, ტოტსა სცემდა ობოლს და უაღერსებდა...

3. განხილული დანართი აშკარად განკერძოებულია, თუმცა პუნქტუაციურად ყოველთვის არ არის გამოყოფილი, რაც საერთოდ მოსაგვარებელი საქმეა. სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია გარკვეული კანონზომიერება სასვენნი ნიშნების ხმარებისა დანართთან<sup>17</sup>.

4. დანართი ბრუნვაში ეწყობა საზღვრულს, საზღვრულთან ერთად იღებს ბრუნვის სრულ დაბოლოებას. ზოგჯერ შეიმჩნევა დარღვევა: ფრჩხილებში მოთავსებული დანართი უთანაბრდება ჩართულ წინადადებას და არ ეწყობა ბრუნვაში საზღვრულს. მაგალითად:

ვიპოვოთ დენის მუშაობა ერთ თვეში (30 დღე) (ფიზ. VII კლ.).

ცალკე უნდა გამოგყოთ დანართის ერთი სტილისტიკური ფუნქცია: ასახსნელი წევრი გამოხატულია საზოგადო არსებითი სახელით და მას აკონკრეტებს, ასე ეთქვათ, სახელს სდებს დანართი:

<sup>14</sup> დ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 281.

<sup>15</sup> ნ. ბასილაია, პუნქტუაცია, თბ., 1973, გვ. 52.

<sup>16</sup> რ. შამელაშვილი, დასახელებული ნაშრ., გვ. 132.

<sup>17</sup> იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, გვ. 69—70; გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1965, გვ. 142, 157 და 168; რ. შამელაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 133—135; ნ. ბასილაია, პუნქტუაცია, გვ. 51—56.

იანკას ცისფერთვალემა დაც, მარცხ, ათქოს ჩემს დარდად გაჩენილიყო ამ ქვეყანაზე (გ. შატბ.).

თბილისის მუშათა უბანი, „ნაძალადევი“, დასახლებული იყო რევოლუციურად განწყობილი მუშებით („ს.კ. და ცხოვრ.“).

ამგვარი დანართის როლში შეიძლება შეგვხვდეს სპეციალური ტერმინები (მათ შორის — უცხო ენიდან მომდინარენი). მაგალითად:

ხევისა და ბუჩქების მიერ გამოყოფილ მფრინავ ნივთიერებებს — ფიტონციდებს — ახასიათებთ ანტიბიოტიკური მოქმედება („ახ. ცხოვრ.“).

ყველაზე კანონიერი იქნებოდა... თუ ხელოვნების იმ თეორიას, რომლის ბოზიცივებზეც რუსთაველი ღვას და რომელიც თავისი წარმოშობით ანტიკურ-არისტოტელურია, სახელადაც არისტოტელურ ტერმინს — პოეტოკას — მივაკუთვნებთ (მ. გოგობ.).

ცალკე ჯგუფს ქმნის აურნალები, გაზეთები, ლიტერატურულ ნაწარმოებთა სათაურები... წარმოება-დაწესებულებების სპეციალური სახელწოდებანი (ვთქვათ, ფაბრიკა „ისანი“, კომბინატი „ლელა“ და სხვა).

აქვე უნდა განვიხილოთ წინადადებაში ჩართული ლოზუნგები და სხვადასხვა მასობრივი მოძრაობის სახელწოდებანი. მაგალითად:

დ. მგელაძე საინტერესო თაოსნობის — „ყოველი ინჟინერი და ტექნიკოსი — რაციონალიზატორი!“ — ავტორია („თბილ.“).

შეგნიშნავთ, რომ აჯობებდა ასეთი წყობა: დ. მგელაძე ავტორია საინტერესო თაოსნობისა... (sic! თაოსნობის ავტორი!).

მოსკოვში გაიმართა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო საბჭოს გენერალური ასამბლეის სხდომა, რომელიც დაუკავშირდა მოსკოვში მიმდინარე საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესს — „სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში.“ („თბილ.“).

აღნიშნული ფუნქციის მქონე დანართები ასახსნელ წევრს შეიძლება დაუკავშირდნენ კავშირად გამოყენებული სიტყვებით: **სახელად, გვარად, მეტსახელად...** აგრეთვე, განუსაზღვრელი ნაცვალსახელით **ვინმე, ნაწილაკით სახელდობრ** და სხვ. მაგალითად:

მზით გადატრუსული ველების ბოლოს თიხნარი ადგილები იყო. აქ ცხოვრობდა ერთი მოხუცი მეჭურჭლე — სახელად ლევანა (ფ. გიორგ.).

...ის მისთვის თითქო სიტყვა-სიტყვით უამბია ერთ ფრიად მოხუცებულ მოხვევს, ვინმე გონჯა დუღელს (გ. ქიქ.).

მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხები უკავშიროს დანართთან იყრის თავს.

ეს ის დანართია, რომელსაც ვერ განვიხილავთ წინადადების წევრი (ჩვეულებრივი მსაზღვრელი) დანართისაგან მოწყვეტით. გასარკვევი ხშირად სწორედ ისიცაა, განკერძოებულ დანართთან გვაქვს საქმე, თუ წი-

იანკას ცისფერთვალემა დაც, მარცხ, პითქოს ჩემს დარდად გაჩენილივთ ამ ქვე-  
ყანაზე (გ. შატბ.).

თბილისის მუშათა უბანი, „ნაძალადევი“, დასახლებული იყო რევოლუციუ-  
რად განწყობილი მუშებით („ს.ხ. და ცხოვრ.“).

ამგვარი დანართის როლში შეიძლება შეგვხვდეს სპეციალური  
ტერმინები (მათ შორის — უცხო ენიდან მომდინარენი). მაგალითად:

ხევისა და ბუჩქების მიერ გამოყოფილ მფრინავ ნივთიერებებს — ფიტონცი-  
დებს — ახასიათებთ ანტიბიოტიკური მოქმედება („ახ. ცხოვრ.“).

ყველაზე კანონიერი იქნებოდა... თუ ხელოვნების იმ თეორიას, რომლის ბოზიცი-  
ვებზეც რუსთაველი ღვას და რომელიც თავისი წარმოშობით ანტიკურ-არისტოტელუ-  
რია, სახელადაც არისტოტელურ ტერმინს — პოეტოკას — მივაკუთვნებთ (მ. გო-  
გობ.).

ცალკე ჯგუფს ქმნის აურნალები, გაზეთები, ლიტერატურულ ნა-  
წარმოებთა სათაურები... წარმოება-დაწესებულებების სპეციალური სა-  
ხელწოდებანი (ვთქვათ, ფაბრიკა „ისანი“, კომბინატი „ლელა“ და სხვა).

აქვე უნდა განვიხილოთ წინადადებაში ჩართული ლოზუნგები და  
სხვადასხვა მასობრივი მოძრაობის სახელწოდებანი. მაგალითად:

დ. მგელაძე საინტერესო თაოსნობის — „ყოველი ინჟინერი და  
ტექნიკოსი — რაციონალიზატორი!“ — ავტორია („თბილ.“).

შეგნიშნავთ, რომ აჯობებდა ასეთი წყობა: დ. მგელაძე ავტორია სა-  
ინტერესო თაოსნობისა... (sic! თაოსნობის ავტორი!).

მოსკოვში გაიმართა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო საბჭოს  
გენერალური ასამბლეის სხდომა, რომელიც დაუკავშირდა მოსკოვში მიმდინარე საერ-  
თაშორისო სამეცნიერო კონგრესს — „სპორტი თანამედროვე საზო-  
გადოებაში.“ („თბილ.“).

აღნიშნული ფუნქციის მქონე დანართები ასახსნელ წევრს შეიძლება  
დაუკავშირდნენ კავშირად გამოყენებული სიტყვებით: **სახელად, გვარად,  
მეტსახელად...** აგრეთვე, განუსაზღვრელი ნაცვალსახელით **ვინმე, ნაწი-  
ლაკით სახელდობრ** და სხვ. მაგალითად:

მზით გადატრუსული ველების ბოლოს თიხნარი ადგილები იყო. აქ ცხოვრობდა  
ერთი მოხუცი მეჭურჭლე — სახელად ლევანა (ფ. გიორგ.).

...ის მისთვის თითქო სიტყვა-სიტყვით უამბია ერთ ფრიად მოხუცებულ მოხვევს,  
ვინმე გონჯა დუღელს (გ. ქიქ.).

მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხები უკავშიროს დანართთან იყ-  
რის თავს.

ეს ის დანართია, რომელსაც ვერ განვიხილავთ წინადადების წევრი  
(ჩვეულებრივი მსაზღვრელი) დანართისაგან მოწყვეტით. გასარკვევი ხში-  
რად სწორედ ისიცაა, განკერძოებულ დანართთან გვაქვს საქმე, თუ წი-

ჭავჭავაძემ, მაგრამ მიც. ბრუნვაში ერთმანეთის გვერდით შეიძლება შე-  
გვხედეს: ქართველ მწერალ ილია ჭავჭავაძეს და ქართველ მწერალს ილია  
ჭავჭავაძეს; ნათ-ში: ქართველ მწერალ ილია ჭავჭავაძის და ქართველი  
მწერლის ილია ჭავჭავაძის...

საკმარისია დანართი — მსაზღვრელ — წინამავალ მსაზღვრელთან  
ერთად ვაბრუნოთ, რომ საზღვრული იჩენს განკერძოებულ დანართად  
ქცევის ტენდენციას. თუ უფრო განვავრცობთ მსაზღვრელ-დანართის  
ჯგუფს, საზღვრული აუცილებლად განკერძოვდება: ჯერ ინტონაციურად,  
შემდეგ კი — ფუნქციურად: იგი თვით იქცევა დანართად (განკერძოებულ  
დანართად), რომელსაც შეიძლება გაუჩნდეს თავისი მსაზღვრელები. მა-  
გალითად:

...ასე უთხრა სწორედ ყველაზე დიდმა მეფემ მინოსმა, „საშვილიშვილო  
საქმეო“ (ო. ქილ.).

მეფეს რომ წინ მსაზღვრელი არ ახლდეს, იგი, როგორც მსაზღვრელ-  
დანართი, გაჰყვებოდა ხმოვანფუძიანი მსაზღვრელების ბრუნების წესს;  
გვექნებოდა: ...ასე უთხრა მეფე მინოსმა. მაგრამ სავარაუდო საზღვრული  
(ე. ი. ის წევრი, რომელიც ორწევრიან შესიტყვებაში საზღვრული იქნე-  
ბოდა — მინოსი), დამოწმებულ წინადადებაში იქცა დანართად და იგი  
გამოყოფილიც უნდა იყოს შიშით სხვა წევრებისაგან. იგი ისევე იმართ-  
ვის ბრუნვაში შემასმენლის მიერ, როგორც მისი საზღვრული (ყოფილი  
მსაზღვრელი) — ქვემდებარე.

პროფესიის ან ნათესაობის აღმნიშვნელი მსაზღვრელების მომდევ-  
ნო საზღვრული განკერძოებულ დანართად იქცევა იმ შემთხვევაშიც, თუ  
მას გაუჩნდება ახალი მსაზღვრელი, ვთქვათ, სადაურობის აღმნიშვნელი.  
მაგალითად:

შვირის, ოკრიბელ ბრეგვაძეს, მეხიეთ მგრგვინავი ხმის გამო დიდი და  
პატარა რომ „ურახუნედ“ იცნობდა, მთელ ღამეს ეპუნებინა ცხენი (რ. ჯაფ.). შღრ.:  
შვირის ბრეგვაძეს...

შევნიშნავთ, რომ, თუ საზღვრული სახელ-გვარია (და არა ოდენ სა-  
ხელი ან გვარი), იგი იჩენს განკერძოების ტენდენციას (თუნდაც სხვა  
მსაზღვრელები არ ახლდეს). მაგალითად:

შლოოდ დარაჟს — პარმენ პარგველაძეს — ჩასვეს კბილი... (ნ. ლორთ.).

მაშასადამე, თუ საზოგადო არსებითი სახელით (განსაკუთრებით ხე-  
ლობა-საქმიანობის ან ნათესაობის აღმნიშვნელი სახელით) გამოხატული  
მსაზღვრელი ცალად უკავშირდება საზღვრულს, იგი ჩვეულებრივი და-  
ნართ-განსაზღვრებაა... ხოლო, თუ ეს განსაზღვრება განიერცობა (გაიზრ-  
დება მასთან დაკავშირებულ სიტყვათა ჯგუფი) და იგი სრულ დაბოლო-

ებსას მიიღებს ყველა ბრუნვაში საზღვრულთან ერთად, **საზღვრული იქცევა განკერძოებულ დანართად** (აკონკრეტებს საზოგადო არსებითი სახელით გამოხატულ წევრს — ყოფილ მსაზღვრელს); იგი უნდა გამოიყოს მძიმეებით (ან ტირივებით) სხვა წევრებისაგან და შეეწყოს ბრუნვაში საზღვრულს.

კიდევ უფრო განკერძოვდება დანართი (**საზღვრულად ყოფილი**), თუ იგი პოზიციურად დაშორდება თავის პირვანდელ მსაზღვრელს და ახალ მსაზღვრელებს გაიჩენს. მაგალითად:

**მეზობლის ბიჭი, მათი სკოლის ამხანაგი ვახტანგი, ბარს დაყრდნობდა... (გ. შატბ.).**

**შდრ. მეზობლის ბიჭი ვახტანგი, ან მეზობელი ვახტანგი...**

ამ კონტექსტშია განსახილველი ლიტერატურულ ნაწარმოებთა (აგრეთვე ფილმების, სპექტაკლების...) სათაურების, აგრეთვე სხვადასხვა სახელწოდების მართლწერის საკითხიც.

როცა სათაურების (თუ სახელწოდებების) შემცველი შესიტყვებანი ორწევრიანია (ვთქვათ, **უურნალი „ციცკარი“, ლექსი „გაზაფხული“, პოემა „გამზრდელი“**), საკითხი თითქოს გარკვეულია: ეს შესიტყვებანი ისევე უნდა იბრუნვოდნენ, როგორც ამავე რიგის სხვა მსაზღვრელ-საზღვრულები. გვაქვს კი ასე?

მივყვეთ ბრუნვების მიხედვით:

**მოთხრობით ბრუნვაში** თანხმოვანფუძიანი სახელი საზღვრულთან ერთად უნდა იღებდეს ბრუნვის სრულ დაბოლოებას, მაგრამ გვაქვს ასეც:

ჩვენმა სახელოვანმა მსოფიანმა მგოსანმა რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ე. უ. რ. ნ. ა. ლ. „**გზა დაუთმო, მეც გაბედულება მომემატა (ვაჟა).**

ერთმანეთის გვერდით გვაქვს:

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მხატვრულმა ლიტერატურამ: ნ. დუმბაძის ვახუშტურულმა რომანმა „**მარადისობის კანონი**“, გ. ფანჯიკიძის რომანმა „**სამი რომანი**“,... ვ. ამირჯიბის ცნობილმა რომანმა „**დათა თუთაშხია**“... („წიგნის სამე.“).

**მიც. ბრუნვაში** ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც ხმოვანფუძიანი, ისე თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი (დანართი), ხოლო იბრუნვოდეს საზღვრული. გვაქვს კიდევ ასე:

საბჭოთა დროის თავის პირველ მნიშვნელოვან ნაწარმოებად ტიციან ტაბიძე თვლიდა პოემა „**რიონპორტს**“ (გ. ასათ.).

**ან:**

...იგი (ტიციან ტაბიძე) წლების განმავლობაში რედაქტორობდა გაზეთ „**ბარიკადებს**“, რომელიც ამ ჯგუფის ორგანოს წარმოადგენდა (გ. ასათ.).

მაგრამ გვაქვს ასეც:

„ტყის კაცის“ შემდეგ დაწერილ მოთხრობას „შურის მაძიებელს“... ამ საკითხების წრეში შევეყვართ („ლიტ. საქ.“):

...მოყვანილი ამონაწერი მკითხველს სრულიად ბუნებრივად მოაგონებს ლექსს „გოგჩა“ (აბ. მახარ.).

მოსალოდნელი იყო: ლექს „გოგჩას“.

...ცალკე წიგნის სახით ვიცნობთ მის ერთადერთ პიესას, ვოდევოლს „გოგჩას საცთლო“ („წიგნის სამყ.“).

შეიძლებოდა: ვოდევოლ „გოგჩას საცთლოს“.

ნათ. ბრუნვაში თანამოგონაფუძიანი მსაზღვრელი, როგორც მოსალოდნელი იყო, ფუძის სახით არის წარმოდგენილი:

...იგი ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური თანამშრომელია „ქურნალ უცის-კრისა“, რომელსაც შემდგომ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული თაობა დაუპირის-პირდა (აბ. მახარ.).

გამოვიდა ქურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ ახალი, მე-9 ნომერი (იკომ.“).

ფუძის სახით არის წარმოდგენილი ხმოვანფუძიანი მსაზღვრელიც:

...ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ კოლექტივმა ფართოდ გაშალა სოციალის-ტური შეჯიბრება... („თბილ.“).

მაგრამ გვაქვს ისეთი ნიმუშებიც, როცა ბრუნვის სრულ დაბოლოებას იღებს მსაზღვრელიც და საზღვრულიც:

იოსებ ნონეშვილი აქტიურად მონაწილეობდა ანთოლოგიის „ქართული პოეზიის რვაასი წლის“ ჩვენში ფართო მასშტაბით უზადლო გამოცემის შექმნაში (იკომ.“).

შენიშვნა: ამ შემთხვევაში სათაურის (როგორც რამდენიმესიტყვიანი შესიტყვების) ბრუნებაა უფრო მოულოდნელი.

როლანდ ბურჟუაძის წიგნის „მხოლოდ ინტეგრალების“ ანოტაციაში ვკითხულობთ... („წიგნის სამყ.“).

მიხეილ ჭავჭავიშვილი თავის საუკეთესო რომანის „ჯაცოს ხიზნების“ გმირივით არასოდეს გარიდებია თავისი ხალხის ბრძოლას... („ლიტ. საქ.“).

თანდებულებიან ბრუნებშიც ნაირგვარობა გვაქვს:

ა) მსაზღვრელი — დანართი — ფუძის სახითაა, თანდებული სათაურს მართავს:

ქურნალ „იმედშიც“ ვბეჭდავდი ლექსებს... (ვაჟა).

ამჟამად კი განხილვის საგანი იქნება ქურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაბეჭდილი ზოგიერთი პიესა (ა. ბაქრა).



ლექს „პირამიდაში“ მორის ფოცხიშვილი სამშობლოს თემას სრულიად მო-  
ჟლოდნელი კუთხით აშუქებს („კრიტიკა“).

...წიგნს ერთვის ყურნალ „თეატრალურ მოამბედან“ გადმობეჭდილი...  
წერილი („წიგნის სამყ.“). მოამბედან(!).

ქართველი პროზაიკოსი ჯერ კიდევ 1906 წელს გაზეთ „გლახში“... წერდა...  
(„კომ.“).

ბ) თანდებული მართავს მსაზღვრელ-დანართს, სათაური უბრუნვე-  
ლია:

ვებტანგ ორბელიანმა ლექსში „ძველი დმანისი“ თავის თავსაც „დიდი შე-  
ნობის საბრალო შთენი“ უწოდა (აბ. მახარ.).

ლექსში „მოგონება“ მიხეილ თუმანიშვილი ისევ თავისი გარემო სინამდვი-  
ლის უკუღმართობას უჩივის (აბ. მახარ.).

...უკვე ლექსში „ეკექსინის პონტი“ (1926) იგრძნობა ახალი სიმღერის და-  
ბადება (გ. ახათ.).

ბოკილებახსნილი ქართველი გლეხის სახე დახატა მწერალმა მოთხრობაში  
„ბედნიერი ყარამანი“ („წიგნის სამყ.“).

როგორც მოყვანილი ილუსტრაციებიდანაც ჩანს, დარღვევა დადგე-  
ნილი წესისა ძირითადად მაშინ იწყება, როცა მსაზღვრელ-დანართს უჩნ-  
დება თავისი მსაზღვრელი და, რაც უფრო იზრდება დანართთან დაკავ-  
შირებულ სიტყვათა ჯგუფი, მით უფრო იგრძნობა საჭიროება დანართის  
სრული ბრუნებისა. ამასთან, **სათაური (საზღვრული)**, როგორც სხვა სა-  
კუთარი სახელები (ზემოთ განხილული), უფრო და უფრო შორდება მსა-  
ზღვრელს და თვითონ **იქცევა განკერძოებულ დანართად**. შორდება მსა-  
ზღვრელს სათაური იმ შემთხვევაშიც, თუ თვითონ იგი წარმოადგენს ორ-  
წევრიან შესიტყვებას (მით უფრო, არაბრუნებადს...).

მაგრამ ერთგვარობა აქაც არა გვაქვს.

მაგალითად:

ა) დანართს, თავის მხრივ, მხოლოდ ერთი მსაზღვრელი ახლავს, მაგ-  
რამ იგი ბრუნვის სრულ დაბოლოებას იღებს (საზღვრულთან — სათაურ-  
თან ერთად). ამასთან, სათაური ორწევრიანი შესიტყვებაა:

გიორგი შატბერაშვილმა ისტორიული რომანის „აბოს წამების“ წე-  
რა დაიწყო (ა. ბაქრ.).

— ბატონო იგორ, როგორც ცნობილია, თქვენ შეუდექით ჩეხოვის პიესის  
„ალუბლის ბაღის“ ხორცშესხმას სცენაზე („ახ. კომ.“).

ბ) დანართს ახლავს ორი ან ორზე მეტი მსაზღვრელი და იგი ბრუნ-  
ვის სრულ დაბოლოებას იღებს სათაურთან ერთად. ამასთან, სათაურის  
სწრაფვა განკერძოებისაკენ აშკარაა. იგი პუნქტუაციურადაც გამოყოფი-  
ლია. მაგალითად:

...სწორედ ახალი ლექსების ციკლით — „ელადის ყვავილებით“  
იხსნებოდა პოეტის ლექსების, თარგმანებისა და გამოსვლების ეს ორიგინალური კრე-  
ბული... („წიგნის სამყ.“).

თავისი გენიალური პოემით, „აღმზრდელით“ (sic) აკაკი წერეთელმა ღრმად ჩაგვახედა აფხაზებისა და ჩერქეზების სულში (გ. ქიქ.).

ლ. ქელიძის „ესმერალდა“ ნ. მჭედლიძის საყოველთაოდ აღიარებული ფილმის — „პირველი მერცხლის“ თემატური გაგრძელებაა („კრიტიკა“).

გ) დანართთან რამდენიმე მსაზღვრელია დაკავშირებული, მაგრამ იბრუნვის (უფრო ზუსტად — ბრუნვის სრულ დაბოლოებას იღებს) მხოლოდ სათაური, დანართი კი ფუძის სახით არის წარმოდგენილი. ამასთან, საგულისხმოა, რომ სათაური მხოლოდ ერთსიტყვიანია:

...მალე შესთავაზეს სათავეში ჩასდგომოდა საბავშვო ლიტერატურის გამოცემლობა „ნაკადულს“ („ლიტ. საქ.“).

საინტერესო ისტორია აქვს პირველი საშუალო ექსპერიმენტული რესპუბლიკური სკოლის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „საირმულას“ („თბილ.“).

ამეპად მწერალი მუშაობს სიღნაღის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის“ რედაქტორის მოადგილედ („წიგნის სამყ.“).

დ) იბრუნვის დანართი, სათაური უცვლელია:

მომდევნო წელს მიხ. ჯავახიშვილი აქვეყნებს ახალ მოთხრობას „მეჩქემე გაბო“ („ლიტ. საქ.“).

ბიბლიოგრაფიულ სერიას „ქართველი მეცნიერები“ შეემატა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის ბიბლიოგრაფია („წიგნის სამყ.“).

ჩვეულებრივია ასეთი შემთხვევები, თუ სათაური წარმოდგენს წინადადების ფარდ შესიტყვებას ან მთელ წინადადებასაც. მაგალითად:

მამია გურიელის ეს ლექსი მკითხველს ბუნებრივად მოაგონებს ნ. ბარათაშვილის საყოველთაოდ ცნობილ თხზულებას „სუმბული და მწირი“ (აპ. შახარ.).

...მას შემდეგ, რაც თქვენი პიესის — „საქმენი აღამისა და ევასი“ — პრემიერა შედგა, მხოლოდ თეატრისათვის მუშაობთ... („კრიტიკა“).

ვინც რევაზ ინანიშვილს კარგად იცნობს, თავდაპირველად შეიძლება გაუკვირდეს კდეცის ეპიგრაფი, რომელიც მწერალმა წაუმძღვარა მოთხრობას „სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა“ (ა. ბაქრ.).

მოსკოვში გაიმართა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო საბჭოს გენერალური ასამბლეის სხდომა, რომელიც დაუკავშირეს მოსკოვში მიმდინარე საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესს „სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში“ („თბილ.“).

ის ძიებანი, რომლებიც 50-იან წლებში დაიწყო ფუჩიკის ნაწარმოებით — „დამიანებო, იყავით ფიზიკურად“ და ფაქტიურად დამთავრდა „ქინტრაქაით“ და „ანტიგონით“, წარსულს ჩაბარდა („კრიტიკა“).

თავისთავად გამორიცხულია ამგვარი სათაურების გამოყენება თანდებულებიან ბრუნვებში და გვაქვს:

თამაზ ჭილაძის პიესაში „სურათები საოჯახო ალბომიდან“ („მეველ-  
ლობა“) დახატული ოჯახი მთელი საზოგადოების სახეა (ა. ბაქრ.).

...თავის ლექსში „ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ“... იგი  
(აკაკი) ასე მიმართავდა „ტკბილი მღერალის“ აჩრდილს... (გ. ახათ.).

ასე წერდა გრიგოლ ორბელიანი ლექსში „ჩემს დას ეფემიას“, რო-  
მელიც ქალაქ რიგაში 1835 წელს დაიწერა (აბ. მახარ.).

სოლომონ დემურხანაშვილის მოთხრობების ახალ წიგნში „შეხვედრა  
უღმელთების“... ადრე გამოქვეყნებული და ცალკეულ კრებულებში დასტამ-  
ბული პროზული თხზულებებია თავმოყრილი („წიგნის სამყ.“).

...სულ სხვა პრობლემებია თქვენს ახალ, ჩემი აზრით, ძალზე საინტერესო რომან-  
ში „...და საუკუნეზე მეტად გრძელდება დღე“... („კომ.“).

სათაური თუნდაც ერთსიტყვიანი იყოს, თუ რომელიმე ბრუნვის  
ფორმაშია, რა თქმა უნდა, მისი ხელახალი ბრუნება შეუძლებელია.

მაგალითად:

ლექსში „ქახეთს“ ბუნება დასახულია როგორც სასიხეობა ცხოვრებაზე გულ-  
გატეხილი ადამიანისა... (აბ. მახარ.).

მაშ, სურათი ასეთია: თუ სათაურის (ან სახელწოდების) აგებულება  
დაბრკოლებას არ ქმნის, თითქმის თანაბრად (ზოგჯერ პარალელურად,  
ერთსა და იმავე ტექსტშიც კი) შეიძლება შეგვხვდეს სამგვარი ბრუნება:

1. ბრუნვის სრულ დაბოლოებას იღებს მსაზღვრელიც და სათაუ-  
რიც;
2. ფუძის სახით არის წარმოდგენილი მსაზღვრელი, იბრუნვის სათა-  
ური;
3. უბრუნველი რჩება სათაური, იბრუნვის მსაზღვრელი.

შევნიშნავთ, რომ იგრძნობა ტენდენცია მესამე წესის უნიფიკაცი-  
ისა.

როგორ უნდა მოიხსნას ეს სიჭრელე?

რაკი ჩვენთვის საინტერესო შესიტყვებები თავისი ძირითადი სინ-  
ტაქსური წყობისა და სტილისტიკური ფუნქციის მიხედვით ეკუთვნიან  
დანართთა გარკვეულ ჯგუფს, ბუნებრივია და ლოგიკური, მათზეც გავრ-  
ცელდეს ამ ჯგუფისათვის დადგენილი მართლწერის წესები. ე. ი., რომ  
გავიმეოროთ:

1. მარტივი, ორწევრიანი შესიტყვება — დანართი+საზღვრული (სა-  
თაური) — იბრუნვის ისევე, როგორც სხვა საზოგადო არსებითი სახელით  
გამოხატული მსაზღვრელ-დანართი+საკუთარი არსებითი სახელი. ე. ი.  
ერთგვარად იბრუნვის, ერთი მხრივ, თანხმოვანფუძიანები: პროფესორი  
მელიქიშვილი, ლექსი „აბრილი“, ჟურნალი „ციცკარი“,... მეორე მხრივ,  
ხმოვანფუძიანები: დაბა ჩაქვი, მოთხრობა „ტყისკაცი“, გამომცემლობა  
„ნაკადული“. ამავე წესს მიჰყვება ორსიტყვიანი სახელწოდების შემცვე-  
ლი შესიტყვებაც, თუ იგი ბრუნებადია (მაგ. მოთხრობა „კაცია-ადამია-

ნი?!“, რომანი „გაყოს ხიზნები“, ვაჭეთი „სახალხო განათლება“, უურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ და სხვ.).

თუ დანართს გაუჩნდება ახალი მსაზღვრელები, მაშინ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანართი და სათაური თანდათან დაშორდებიან ერთმანეთს; დანართი მიიღებს ბრუნვის სრულ დაბოლოებას, სათაური კი განკერძოვდება. განკერძოვდება სათაური იმ შემთხვევაშიც, თუ თვითონ არის ორზე მეტსიტყვიანი შესიტყვება ან მთელი წინადადება. **განკერძოვებულ დანართად ქცეული სათაური** კი უნდა შეეწყობოდეს ბრუნვაში საზღვრულს (ყოფილ დანართს). გვაქვს კიდევ ასე, თუ სათაური ბრუნებადია.

მაგრამ სახელწოდებათა თუ დასათაურებათა შემცველი შესიტყვებანი სხვაობენ დანართთა იმ ჯგუფისაგან, რომელსაც ეკუთვნიან. სხვაობის მიზეზი თვით სათაურებისა და სახელწოდებების აგებულებაა: სათაურები შეიძლება იყოს ერთსიტყვიანი, ორ- ან ორზე მეტსიტყვიანი შესიტყვება, მთელი წინადადება. სხვაობა შეიძლება გვიჩვენოს ერთსიტყვიანმა სათაურმაც, რადგან იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს რომელიმე ბრუნვაში („სახრჩობელაზედ“, „სამშობლოს“, „ალაზნთან“...); ორ- და ორზე მეტსიტყვიანი შესიტყვებები კი შეიძლება ასევე იყვნენ რომელიმე ბრუნვაში („ღამე მთაში“, „გუთრის მთებს“, „ხმა კატამონთან“); წარმოადგენდნენ და კავშირიან შესიტყვებას („ლამბალო და ყაშა“, „ხე და ქარი“, „მგლები და ცხვრები“...); წარმოადგენდნენ ზმნურ შესიტყვებას („ყბაჩამ დაიგვიანა“, „სანადიროდ დავდივარ“, „აქ დავსახლდები“...) და სხვ.<sup>19</sup>

ყველა ასეთ შემთხვევაში ბრუნება სათაურისა ძნელია (ან წარმოუდგენელიცაა). ვიღებთ, მაგალითად, ასეთ გაუმართავ წინადადებებს (მახინჯდება თვითონ სათაურები):

...ა. ოსტროვსკის ერთ-ერთი საუკეთესო პიესის „მგლები და ცხვრების“ მსგავსად ზომ მის ყველა პიესაშია ასეთი ორი სამყარო... („თბილ.“).

...ა. ლექსანდრე დიუმას ცნობილი ნაწარმოების „ქალი კამელიების“ მიხედვით რეჟისორ ვიორჯი თოფურისთან ერთად დაედგა სპექტაკლი „ალფრედი და ვიოლეტა“ („კომ.“).

შევნიშნავთ: უკანასკნელ წინადადებაში კორექტურაც რომ იყოს გაბარული, მაინც დამახასიათებელი შეცდომაა...

ამიტომ შემთხვევითი არც არის, რომ სათაურების მართლწერის საკითხს ცალკე გამოყოფენ.

<sup>19</sup> იხ. ა. შანიძე, დანართიანი სახელის სწორად ხმარებისათვის, სალიტერატურო ქართულის საკიბრობოტო საკითხები, თბ., 1979, გვ. 68—69; ნ. ბასილიაია, ქართული მართლწერის საკითხები, სოხუმი, 1960, გვ. 309.

ა. შანიძე თვლის, რომ ენაში ამ მხრივ არსებულ მიძიმე მდგომარეობას გამოასწორებს დანართის მეორე ადგილზე დაყენება (როგორც გვაქვს **თამარ მეფის** მსგავს შესიტყვებებში)<sup>20</sup>.

მაგრამ დანართის ადგილი ხომ წინადადებაში მყარია: ჩვეულებრივი მსაზღვრელ-დანართი (წინადადების წევრი დანართი) ძირითადად უსწრებს საზღვრულს. შესიტყვებები, რომლებშიც დანართს მომდევნო პოზიცია უჭირავს (**თამარ მეფის** ტიპისა) უმეტესად გაქვევებული შესიტყვებებია... წყობა — საზღვრულ-მსაზღვრელი — თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის მიუღებელია...

მყარია განკერძობებული დანართის (და, ამდენად, ასეთ დანართად ქცეული სათაურის) ადგილიც. იგი მოსდევს საზღვრულს. ადგილის შეცვლით, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეიცვლება დანართის სინტაქსური როლიც... საკითხი კი, ვფიქრობთ, კვლავ მოუვლელი დარჩება.

არსებითად სწორი დასკვნები შემოგვთავაზა ნ. ბასილაიამ, რომელმაც სათაურების მართლწერის კრიტერიუმად თვით სათაურების აგებულება გამოყო. იგი წერს: „წინადადების წევრად გამოყენებისას, თხზულების, გაზეთის ან ჟურნალის სახელწოდება **შეიძლება ვიხმაროთ** საჭირო ბრუნვაში (ასევე თანდებულობით), თუ იგი სახელობითი ბრუნვითაა მოცემული და არ არის **და** კავშირიანი. სხვა შემთხვევებში აღნიშნულ სახელწოდებებთან (ე. ი. როცა იგი სხვა ბრუნვაშია, თანდებულობითა, და კავშირიანია, **ნარ-თანთან** მრავლობითშია თუ წინადადების სახითაა მოცემული ან გარემოებითაა დაბოლოებული) საჭირო ბრუნვის ნიშნით ან თანდებულობით ვიხმაროთ მსაზღვრელი, სახელწოდება კი დარჩეს უცვლელად. თუ ეს უკანასკნელი საზღვრულია, მის წინ ტირე საჭირო არ არის, მაგრამ თუ დანართია, მაშინ იგი ტირეთი უნდა გამოიყოს ჩვეულებრივი დანართის მსგავსად“<sup>21</sup>.

თუ ანგარიშს გავუწევთ ენაში გამოვლენილ ტენდენციას, ვფიქრობთ, უმჯობესია მართლწერის ერთი წესი მივიღოთ წინადადების წევრი სათაურისთვისაც და განკერძობებული დანართის როლში გამოსული სათაურისთვისაც: ვიხმაროთ და ვწეროთ სათაურები უცვლელად (უბრუნველად), ვაბრუნოთ წინამავალი წევრი (რომელიც ერთ შემთხვევაში მსაზღვრელ-დანართია, მეორე შემთხვევაში კი — საზღვრული). ამით თავიდან ავიშორებთ ბევრ გამონაკლისს. დავუშვათ მხოლოდ ერთი გამონაკლისი: ორწევრიანი შესიტყვებები, თუ ისინი ბრუნებადია (მაგ. **ჟურნალი „ციცკარი“**, **ლექსი „აბრილი“**, **გაზეთი „კომუნისტი“**, **მოთხრობა „კაცია-**

<sup>20</sup> ა. შანიძე, ერთი სინტაქსური საკითხის გამო, „ლიტ. საქ.“, 15.XI.68; მისივე, დანართიანი სახელის სწორად ხმარებისათვის, სალიტერატურო ქართულის საჭირობო-ტო საკითხები, თბ., 1979, გვ. 68—71.

<sup>21</sup> ნ. ბასილაია, ქართული მართლწერის საკითხები, გვ. 313.

ადამიანი?!“...), ვაბრუნოთ, როგორც ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრუ-  
ლი, მიღებული ნორმის შესაბამისად; პარალელურ ფორმებად მივიღოთ,  
ვთქვათ:

სახ. მოთხრობა „კაცია-ადამიანი“	მოთხრობა „კაცია-ადამიანი“
მოთხრ. მოთხრობა „კაცია-ადამიანი“	მოთხრობამ „კაცია-ადამიანი“
მიც. მოთხრობა „კაცია-ადამიანი“	მოთხრობას „კაცია-ადამიანი“
ნათ. მოთხრობა „კაცია-ადამიანი“	მოთხრობის „კაცია-ადამიანი“
მოქმ. მოთხრობა „კაცია-ადამიანი“	მოთხრობით „კაცია-ადამიანი“
ვით. მოთხრობა „კაცია-ადამიანი“	მოთხრობად „კაცია-ადამიანი“
წოდ. მოთხრობა „კაცია-ადამიანი“	მოთხრობავე „კაცია-ადამიანი“
თანდ. ბრ. მოთხრობა „კაცია-ადამიანი“	მოთხრობაში „კაცია-ადამიანი“

პირველი — როგორც მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნების  
მიღებული ნორმა, მეორე — როგორც სათაურების ერთგვარი დაწერი-  
ლობის მისაღწევად გამომუშავებული, თვით ენაში გამოვლენილი ტენ-  
დენციის ამსახველი ნორმა<sup>22</sup>.

დგება სათაურების დაწერილობის საკითხიც: როგორ ვწეროთ სათა-  
ურები თანდებულის ბრუნებში, ვთქვათ: ლექს „პირამიდაში“ თუ ლექს  
„პირამიდა“-ში; რომან „ჯაყოს ხიზნებზე“ თუ რომან „ჯაყოს ხიზნებ“-ზე?  
სადავო ფორმები თითქოს ამ მხრივაც დაჰყვაც ქართულ სალიტერატურო  
ენას. მაგალითად, ილიასთან და ვაჟასთან, ჩვეულებრივ, სათაურს (ბრჭყა-  
ლებს) გარეთაა არა მარტო თანდებულის, არამედ ნებისმიერი ბრუნვის  
ნიშანიც (მიუხედავად იმისა, სათაური თანხმოვანფუძიანი სახელითაა წარ-  
მოდგენილი თუ ხმოვანფუძიანით. თანაც, სხვაენოვანი სათაური არ ითარ-  
გმნება). მაგალითად:

წლებანდელი თებერვლისა და მარტის ნომრებში რუსულმა ჟურნალმა „Се-  
верный Вестник“-მა დაბეჭდა ორი წერილი (ილია).

კარგა ხანია, რაც ბ. იბ. ვართავა ჟურნალ „განათლება“-ში ჰმკვდავს  
ჩემი ნაწერების შესახებ კრიტიკულ წერილებს... (ვჟა).

ამ ერთი თვის წინათ „სახალხო გაზეთ“-ში დაბეჭდვ ცნობა შესახებ იმისა,  
რომ შირაქის ახალშენებს დიდი ზარალი მოელის მინდორში გაჩენილის თავისიგანო  
(ვჟა).

თუ ასეთი დაწერილობით უცვლელად ვინარჩუნებთ ხმოვანფუძიან  
სათაურს, მახინჯდება თანხმოვანფუძიანი სათაური... როგორც აღნიშნუ-  
ლია სპეციალურ ლიტერატურაში, თანდებულის გამოყოფა გაუმართლე-

<sup>22</sup> აქვე შევიშნავთ: გ. შალამბერიძე არასწორ ფორმებად აცხადებს ასეთ ფორმებს:  
რომანს „არსენა მარაბდელი“, რუბრიკით „დისკუსია“, მოთხრობამ „კაცია-ადამიანი“...  
გ. შალამბერიძე, პატივე-ეც ენასა შენსა, „სკოლა და ცხოვრება“, №9, 1981, გვ. 68.

ბელი ჩანს<sup>23</sup>. ე. ი. უნდა ვწეროთ: ლექს „პირამიდაში“, რომან „ჭაყოს ხიზნებზე“ და სხვ., თუ სათაურებს ვაბრუნებთ, როგორც ჩვეულებრივ საზღვრულებს... ხოლო, თუ სათაურებს უბრუნველს დავტოვებთ, საკითხი მათი დაწერილობის შესახებ მოიხსნება.

განკერძოებული დანართის როლში გამოსული სათაურები უნდა გამოიყოს წინადადების წევრებისაგან სასვენი ნიშნებით, უმჯობესია — ტირეთი, როგორც ამავე ფუნქციის მქონე სხვა დანართები. ტირე უფრო მკვეთრად გამოყოფს ამ დანართის ფუნქციას (საზოგადო არსებითი სახელით გამოხატული წევრის დაკონკრეტებას, დაზუსტებას)<sup>24</sup>.

---

<sup>23</sup> ნ. ბასილაია, დასახ. ნაშრ. გვ. 312—313.

<sup>24</sup> შდრ რ. შამელაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 134; ნ. ბასილაია, პუნქტუაცია, გვ. 117.